# შედგა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის მორიგი სხდომა

***სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.12.2022.*** 8 დეკემბერს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებათა დახმარებით რუსეთის საზღვარგარეთის სამღვდელთმთავრო სინოდის მორიგი სხდომა შედგა.

სხდომაში, რომელიც აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტ ნიკოლოზის თავმჯდომარეობით გაიმართა, მონაწილეობა მიიღეს ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტმა მარკოზმა, სან-ფრანცისკოსა და დასავლეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსმა კირილემ (მდივანი), მონრეალისა და კანადის მთავარეპისკოპოსმა გაბრიელმა, ჩიკაგოსა და შუა ამერიკის მთავარეპისკოპოსმა პეტრემ, ლონდონისა და დასავლეთ ევროპისა ეპისკოპოსმა ირინეოსმა და სიეტლის ეპისკოპოსმა თეოდოსიმ (მდივნის მოადგილე). შესავალ სიტყვაში რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის

პირველიერარქმა სხდომის მონაწილეებს ღვთის შეწევნა უსურვა მომავალ სამუშაოებში. მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა ასევე მადლობა გადაუხადა მღვდელთმთავრებს ლოცვებისა და ძმური მხარდაჭერისთვის.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სამღვდელთმთავრო სინოდმა მოისმინა იერუსალიმში რუსეთის სულიერი მისიის (რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესია) ხელმძღვანელის არქიმანდრიტ რომანის (კრასოვსკი) რაპორტი.

შემდეგ მოისმინეს ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოს ირინეოსის მოხსენება, რის შემდეგაც განიხილეს სხვადასხვა მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობებისა და მართლმადიდებლური სამყაროს უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებული საკითხები.

ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტმა მარკოზმა წინადადება წამოაყენა, ცალკე განეხილათ და ემსჯელათ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიაში შექმნილი ვითარების შესახებ, რომელიც ამჟამად დევნასა და პოლიტიკურად მოტივირებულ აგიტაციას განიცდის: სამღვდელთმთავრო სინოდმა შეშფოთება გამოთქვა იმ აგრესიისა და ძალადობის გამო, რომელიც მიმართულია უკრაინის ტერიტორიაზე კანონიკური ეკლესიის წინააღმდეგ, და ყველას, ვისაც ხელეწიფება, მოუწოდა, თვალი არ დახუჭონ, ხმა აღიმაღლონ და მოითხოვონ უნეტარესი მიტროპოლიტის ონოფრეს, მღვდელთმთავრების, მღვდლებისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალმილიონიანი მრევლის ელემენტარულ უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების აღდგენისა და დაცვისკენ.

როგორც რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის საიტი **იტყობინება,** სამღვდელთმთავრო სინოდმა ამის შემდეგ განიხილა სხვადასხვა საეკლესიო დისციპლინარული, ქონებრივი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხები, ასევე რიგი შუამდგომლობები მღვდელთმთავრებისა, რომლებმაც თავიანთი კლირიკოსები და სამრევლოს წევრები საეკლესიო ჯილდოებზე წარადგინეს.

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89870/